

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-05/21

ქალაქი ბათუმი

15 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მ.შ ნესტან დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიკა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ ხარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“ - პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ - მიმწოდებლის მიერ გაამარტივებული შესყიდვის ფარგლებში წარმოდგენილი „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ბათუმის N22 საჯარო სკოლის სახურავის ნაწილის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. (CPV: 45200000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4980,00 (ოთხიათასცხრასათხმოცი) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია დაზუსტდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად.
- 3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელმოწერილი ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.



[Handwritten signature]



[Handwritten signature]

4.2. შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

5. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი/პირები.

5.2. ხელშეკრულების საგნის მიღება ფორმდება (როგორც სრული ასევე შუალედური/ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

6. სამუშაოების შესრულების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოების შესრულების ადგილია ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. N330.

6.2. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 20 დღის ვადაში.

7. მზარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.4.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

7.4.3. გაითვალისწინოს ტექნიკური ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები.

7.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

8.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარვეზის ანაზღაურება ვკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებელს 6.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

10.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

10.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ ვადას აცხადებს ამის შესახებ მეორე მხარეს.



12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით ასეთი სამუშაოებისათვის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

13.2. შემსყიდველი უფლებამოსილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში. ამ შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შედგება დამატებითი სამუშაოების წარმოების ვადა, განიხილება ამ სამუშაოების საფასური და მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.

13.3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

14.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სკოლის სარგებლობაში არსებული დენის წყაროდან მის მიერ მოხმარებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრო-ენერჯის ღირებულება.

13.5. სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

14.6. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

13.7. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

14.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.


13.9. საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მიერ მიცემულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზი ან სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარვეზი, ასევე ხარვეზის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

13.10. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

13.11. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.12. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები; მთორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.13. შესაძენ პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარვეზებითა და რისკით.



13.14. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა
მის: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №330
სს „ლიბერთი ბანკი“ ხელვაჩაურის ფილიალი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ა/ა GE36LB0121181048034000

ს/კ 248385395

დირექტორის მ.შ.

ნ.დიასამიძე

მიმწოდებელი:

შპს „ნიკა“

მის: ხელვაჩაური, სოფ.ქვედა სამება

სს ბანკი „რესპუბლიკა“

ბანკის კოდი:REPLGE22

ა/ა GE10BR0000010687950574

ს/კ 448387022

დირექტორი

ა.ხარაძე



ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

4 980

ლარი

შედგენილია 2014 წლის II კვარტლის დონეზე

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)	
				განს. ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე	განს. ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე
1	2	3	4	5	6	7	8
1	ს.ნ. და წ. IV-2-82 ტ-8 ცხ.46-28-2	შენობის უკანა მხარეს არსებული სახურავის ახსნა, სახურავიდან ჩამოტანა და დასაწყობება	კვმ		150		121
		შრომითი დანახარჯი 1,15*0,082*1,5	კაც/სთ	0,142	21,3	4,6	98
		მანქანები 1,15*0,5*1,5	მან	0,87	7,31	3,2	23
2	ს.ნ და წ. IV-2-82 ტ-2 ცხ.6-9-4	სახურავისთვის მაუერლატისა და სანივნივე სისტემის კვანძების დამაგრება გლინულათი	ტნ		0,010		25
	სრფ	შრომითი დანახარჯი დანახარჯი და მატერიალური რესურსი	ტნ	1	0,01	2500	25
3	ს.ნ და წ. IV-2-82 ტ-2 ცხ.10-11	არსებული სახურავის ხის სანივნივე სისტემის გაძლიერება	კუბმ		1,10		617
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*23,8	კაც.სთ	27,37	30,11	4,60	138
	სრფ	მანქანები 1,15*2,1	ლარი	2,415	2,66	3,2	9
	საბაზრო	დახერხილი ხე-ტყე	კუბმ	1,02	1,12	400	449
	საბაზრო	ლურსმანი	კბ	7,2	7,92	2,3	18
	სრფ	სხვა მასალა	ლარი	0,93	1,02	3,2	3
4	ს.ნ და წ. IV-2-82 ტ-2 ცხ.12-6-2 მისადაგ.	სახურავის ბურულის მოწყობა გოფირებული მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით სისქით 0.5 მმ მოლარტყვით	კვმ		150,00		2 630
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*0,439	კაც.სთ	0,505	75,75	4,6	348
	სრფ	მანქანები 1,15*0,0354	ლარი	0,0443	6,64	3,2	21
	საბაზრო	მოთუთიებული გოფირებული თუნუქი 0.5 მმ.	კვმ	1,12	168,00	7,1	1 193
	საბაზრო	ფიცარი წიწვოვანი ჯიშის, =30 მმ	კუბმ	0,013	2,0	400	780
	საბაზრო	სამშენებლო ნაჭკდი	კბ	0,15	22,50	3	68
	საბაზრო	სტკვალი	ცალი	6	900,0	0,2	180
	სრფ	სხვადასხვა მასალები	ლარი	0,0828	12,4	3,2	40
5	ს.ნ და წ. IV-2-82 ტ-2 ცხ.10-37-3	სახურავის ბურულის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა	კვმ		150,0		202

1	2	3	4	5	6	7	8
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*0,0303	კაც.სთ	0,0348	5,23	4,60	54
	სრფ	მანქანები 1,15*0,0041	ლარი	0,0047	0,71	3,2	2
	საბაზრო	ცეცხლდამცავი ხსნარი	კგ	0,324	48,60	3	146
	სრფ	სხვა მასალა	ლარი	0,0004	0,06	3,2	0
6	სნ და № IV-2-82 ტ-2 ცხ.10-38-3	სახურავეის ბურულის ხის კონსტრუქციების დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარით	კმმ		150,0		91
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*0,0424	კაც.სთ	0,0488	7,31	4,60	34
	სრფ	მანქანები 1,15*0,0021	ლარი	0,0024	0,36	3,2	1
	საბაზრო	ანტისეპტიკური ხსნარი	ტნ	0,0002	0,02	2500	56
		ლოკალური-რესურსული უწყისის ჯამი:	ლარი				3 687
		ზედნადები ხარჯები	ლარი		8%		295
		ჯ ა მ ი	ლარი				3 982
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	ლარი		6%		239
		ჯამი	ლარი				4 221
		დღგ	ლარი		18%		760
		სულ ხარჯთაღრიცხვით:	ლარი				4 980

შეადგინა:



მ.მსხალაძე

